პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

23 იანვარი შაბათი 1971 ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 19 (14929)

საკადესის ცნობა

შესრულებულია მთვარის მესამე დღის პროგრამა

□ ორი თვის პროგრამა შესრულებულია □ მთვარის მესამე დღეს „ლუნოხოდ-1“-მა გაიარა 1.936 მეტრი □ კოსმოსური ექსპერიმენტი გრძელდება.

„ლუნოხოდ-1“ საბჭოთა ავტომატურმა აპარატმა დაამთავრა მუშაობა მთვარის მესამე დღის პროგრამის მიხედვით.

ამ პერიოდის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანა იყო ის, რომ მთვარემავალი გაეუვანათ ნავარაუდევ სელენოგრაფიულ კოორდინატებიან წერტილში — ამ ადგილას, სადაც დაჯდა „ლუნა-17“ ავტომატური სადგური, რომელმაც 1970 წლის 17 ნოემბერს მთვარის ზედაპირზე მიიტანა თვითმავალი აპარატი.

მოწყობილი ექსპერიმენტის მიზანი იყო ხანავიგაციო სისტემის სიზუსტისა და საიმედოობის შეფასება, აგრეთვე ნავიგაციის, მთვარემავლის დისტანციური მართვისა და ტარების მეთოდების შემოწმება.

თვითმავალი აპარატი დასაჯდომი საფეხურისაკენ მიდიოდა ახალი ტრასით. მოძრაობის საერთო მიმართულება იყო ჩრდილო-დასავლეთი. ამასთან მთვარემავლის მიმდინარე კოორდინატები განისაზღვრებოდა საბორტო სანავიგაციო ხელსაწყოების საშუალებით და პერიოდულად ზუსტდებოდა მზისა და მთვარის მდებარეობის მიმართ. ამან უზრუნველყო ავტომატური აპარატის გაუვანა განგარიშებულ წერტილსა და დასახულ დროში.

მთვარის მესამე დღის განმავლობაში თვითმავალმა აპარატმა გაიარა 1936 მეტრი. მთვარემავლის მიერ წვიმების ზღვის რაიონში აქტიური ფუნქციონირების დროს გავლილი საერთო მანძილი შეადგენს 3655 მეტრს.

სამეცნიერო პროგრამის შესაბამისად გამოკვლეულია მთვარის ზედაპირის ახალი მონაკვეთები. აპარატზე დადგმულმა ფოტო-სატელევიზიო აპარატურამ საშუალება მოგვცა მიგვღო სტერეოსკოპული პანორამები, რომლებზეც დეტალურად გამოსახულია მიკრორელიეფი. ეს მონაცემები გამოიყენებული იყო ზედაპირის ტოპოგეოდეზიური და გეოლოგიურ-მორფოლოგიური კვლევისათვის.

მოძრაობის ტრასაზე ხორციელდებოდა მთვარის გრუნტის ფიზიკურ-მექანიკური თვისებების გაზომვა პენეტრომეტრის საშუალებით და ქიმიური შედგენილობის განსაზღვრა რენტგენული სპექტრომეტრით. გარდა ამისა, სპექტრომეტრის სპეციალური აღმოაცხველი ზომავდა მზისა და გალაქტიკის კოსმოსური გამოსხივების ინტენსივობას.

მთვარემავლის რადიომეტრის დეტექტორები კვლავ აღრიცხავდნენ კორპუსკულარული კოსმოსური გამოსხივების ნაკადებს. მთვარის მეორე დღისაგან განსხვავებით მესამე დღეს ახასიათებდა მშვიდი რადიაციული ვითარება, 19 და 20 იანვრის გარდა, როცა აღინიშნა პატარა ენერგიების პროტონების ნაკადის ინტენსივობის ზრდა რამდენიმე ათეულჯერ.

მთვარის მესამე დღის დროს რენტგენული ტელესკოპის საშუალებით გრძელდებოდა რენტგენული კოსმოსური გამოსხივების გაზომვა. ამასთან გამოკვლეული იყო ციური სფეროს ოცდაათი მონაკვეთი, რომლებიც როგორც გალაქტიკის სიბრტყეში, ისე მისდამი დიდი კუთხეებით მდებარეობენ. სამ მონაკვეთზე აღინიშნა გამოსხივების ნაკადების რამდენჯერმე გადიდება.

20 იანვარს მოწყობილი კავშირგაბმულობის სეანსის დროს განხორციელდა მთვარის ღამისათვის თვითმავალი აპარატის მომზადების ოპერაციები. მთვარემავალი დადგმულია საჭირო ორიენტირებულ მდგომარეობაში. მთვარემავლის საბორტო სისტემები ნორმალურად მუშაობენ. ტემპერატურა ხელსაწყოთა ნაკვეთურში პლუს 18 გრადუსია ცელსიუსით, წნევა ვერცხლისწყლის სვეტის 758 მილიმეტრია.

21 იანვრიდან 7 თებერვლამდე მთვარემავალი სტაციონარულ მდგომარეობაში იქნება. ამ პერიოდში მთვარემავლის ბორტიდან მივიღებთ ტელემეტრიულ ინფორმაციას მისი სისტემების მდგომარეობის შესახებ.

„ლუნოხოდ-1“ ავტომატური აპარატის სამეცნიერო-ტექნიკური ექსპერიმენტების და სავალი გამოცდის ორი თვის პროგრამა შესრულებულია.

მთვარის ზედაპირზე კოსმოსური ექსპერიმენტი გრძელდება.

ხალხის სიყვარული

ხელოვანისათვის ხალხის სიყვარული უმაღლესი ჯილდოა.

ქართული ვოკალური სკოლის ბრწყინვალე წარმომადგენელი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი შვრაბ ანჯაფარიძე ერთი იმთგანია, ვინც უკვე დიდი ხანია მოიპოვა ფართო პოპულარობა, აღიარება და ჩვენი ხალხის საყვარელი მომღერალი გახდა.

თითქოს გუშინ იყო, პირველად რომ წარსდგა ჯაბუკი მიმღერალი ფართო საზოგადოებრივობის „წინაშე თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის სცენაზე. 1952 წელს ვ. სარაჯიშვილის სახელობის კონსერვატორიის დამთავრებისთანავე, სადაც იგი გამოჩენილი მომღერლისა და პედაგოგის დ. ანდღულაძის კლასში სწავლობდა, შვრაბ ანჯაფარიძე თბილისის საოპერო თეატრის დასში მიიღეს სოლისტად. მისი დებიუტი იყო გურამის ბარის ზ. ფალიაშვილის ოპერა „ლაკადარაში“. ერთი წლის თავზე ოპერა „აბესალომ და ეთერში“ გამოვიდა და აბესალომი სამუდამოდ დამკვიდრდა მის რეპერტუარში.

თბილისის საოპერო თეატრის სცენაზე (1952-1958 წ.წ.) შვრაბ ანჯაფარიძემ ოცდასამი საოპერო სახე შექმნა. მათ შორის უნდა დავასახელოთ დონ ხოზე (ოპერა „კარმენი“), გერმანი („პიკის ქალი“), კავარადოსი („ტოსკა“), ვოდემონი („იოლანტა“), ბოგუნი („ბოგდან ხმელნიცკი“), ბაში-აჩუკი (არ. კერეს-სელიძის ოპერაში), არსენი (ა. ბუკვას ოპერაში), მენდია (ო. თაქთაქიშვილის ოპერაში).

1959 წელს შვრაბ ანჯაფარიძე მოსკოვის დიდ თეატრში მიიწვიეს სოლისტად. აქ იგი მღეროდა ტენორის თითქმის ყველა პარტიას. მათ შორის უნდა აღვნიშნოთ დონ-კარლოსი (ვერდის ოპერაში), ფაუსტი (ჰუნოს ოპერაში), ალფრედი („ტრავიატა“), ჰერცოგი („რიგოლეტო“), გერმანი, რადამესი („აიდა“), დონ ხოზე, გრიგორი („ბორის გოდუნოვი“) და სხვ. როგორც დიდი თეატრის სოლისტმა, მან გასტროლებით მოიარა პოლონეთი, ჩეხოსლოვაკია, რუმინეთი, ბულგარეთი, იუგოსლავია, გერმანია, იტალია, საბერძნეთი, საფრანგეთი, ინგლისი, ამერიკის შეერთებული შტატები, კანადა და სხვა ქვეყნები. საზღვარგარეთის პრესამ და სპეციალისტებმა დიდი შეფასება მისცეს შვრაბ ანჯაფარიძის ხელოვნებას, ვოკალურ და სცენურ ოსტატობას.

წლევანდელი სეზონიდან შვრაბ ანჯაფარიძე კვლავ თბილისის საოპერო თეატრს დაუბრუნდა. ფართო და მრავალმხრივია მისი რეპერტუარი. მალე მომღერალს კვლავ ვიხილავთ აბესალომის როლში (უკვე თითქმის მზად არის ოპერა „აბესალომ და ეთერის“ ახალი დადგმა). სოლისტი მუშაობს ახალ პარტიებზე. ეს არის ოტელო (ვერდის ოპერაში) და კანიო („ჯამბაზები“).

ხალხის საყვარელი მომღერალი აქტიურად არის ჩაბმული საზოგადოებრივ საქმიანობაში, იგი თბილისის საოპერო თეატრის პარტორგანიზაციის ბიუროს მდივანია, ამასთანავე სახელმწიფო კონსერვატორიაში თავის მდიდარ გამოცდილებას ახალგაზრდა ვოკალისტთა დაოსტატებას ახმარს.

პარტიის თბილისის 34-ე საქალაქო კონფერენციაზე სახელოვანი მომღერალი საქართველოს კომპარტიის მომავალი XXIV ყრილობის დელეგატად აირჩიეს. ეს დიდი პატივია და დარწმუნებული ვართ შვრაბ ანჯაფარიძე კვლავაც არაერთხელ გაახარებს საოპერო ხელოვნების მოყვარულთ თავისი ნათელი ხელოვნებით.

ლ. კიკნაძე.

სურათზე: შვრაბ ანჯაფარიძე.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

ეს დღეები სოფლად

სად როგორ ემზადებიან საგაზაფხულო თესვისათვის

□

● წითელწყარო. („კომუნისტის“ კორ.). რაიონის მშრომელები აქედანვე უყრიან საფუძველს მეცხრე წუთწლედის პირველი წლის უხვ მოსავალს. მხვნელ-მთესველებმა საგაზაფხულოდ მარცვლეული და პარკოსანი კულტურების დასათესად კონდიციური თესლის მომზადების გეგმა 101,6 პროცენტით შეასრულეს.

წელს რაიონში მზესუმზირას თესვის გეგმა რომ შეასრულონ, ხაჭიროა 1.365 ცენტნერი თესლი. მზად აქვთ 1.837 ცენტნერი მზესუმზირას კონდიციური თესლი. მრავალწლიანი ბალახების თესლი მოიმარაგეს 2.660 ცენტნერი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 2.018 ცენტნერისა.

რესპუბლიკაში ყველაზე მეტი ტრაქტორი წითელწყაროელმა მექანიზატორებმა შეაკეთეს. მათ გასული წლის მეოთხე კვარტალში რემონტი გაუკეთეს 106 ტრაქტორს ნაცვლად 85 ტრაქტორისა.

● სილნაღი. („კომუნისტის“ კორ.). საგაზაფხულო მინდვრის სამუშაოების აგროვადებში შესასრულებლად მექანიზატორები ბეჯითად მუშაობენ იმისათვის, რომ დროულად დამთავრონ ტექნიკის რემონტი. გასული წლის მეოთხე კვარტალის ტრაქტორების რემონტის გეგმა უნდა შეესრულებინათ 1971 წლის პირველი იანვრისათვის, ფაქტიურად დავალება ვადაზე 10 დღით ადრე განაღდეს. რემონტი გაუკეთეს 81 ტრაქტორს და ამით გეგმა 153 პროცენტით შეასრულეს.

რაიონში საგაზაფხულო კულტურების დასათესად ამზადებენ ნიადაგს. ხეხილის ბაღებსა და ვენახებში მწკრივთა შორის ხნავენ.

● ხაშური. („კომუნისტის“ კორ.). წინასაყრილობო შეჯიბრებაში კარგ შედეგებს აღწევენ მხვნელ-მთესველები. მათი პირობა იყო სიმინდის დასათესად გამოეყოთ და სათანადო კონდიციამდე აეყვანათ 693 ცენტნერი მარცვლეული და პარკოსანი კულტურების სათესლე მასალა. ეს დავალება ვადაზე ადრე 106,8 პროცენტით შეასრულეს. გეგმაზე მეტი აქვთ სიმინდისა და მრავალწლიანი ბალახების თესლი.

ჩქარი ტემპით მიმდინარეობს ტრაქტორების, სათესლების, კულტივატორების რემონტი.

პრესა ხუთწლედის მიჯნაზე

Правда

22 იანვრის მოწინავე

ჩვენი ქვეყანა ეგებება სკკპ XXIV ყრილობას. გაზეთებისა და ჟურნალების ფურცლებზე, რადიოგადაცემებში, ჩვენი საქმიანობის ხილულ მატიანეში — ცისფერ ეკრანზე ისახება საყრილობო სოციალისტური შეჯიბრების გაქანება, საბჭოთა ადამიანების შთაგონებული შრომის სილამაზე და სიდიადე.

მნიშვნელოვან ისტორიულ მიჯნაზე, როცა პარტია და ხალხი აჯამებენ განვლილ ხუთწლეულში გაწეული უდიდესი შემოქმედებითი მუშაობის შედეგებს, სახავენ ახალ პერსპექტივებს, პრესის, ტელევიზიისა და რადიოს წინაშე დგება სერიოზული, პასუხსაგები ამოცანები. მასობრივი ინფორმაციისა და პროპაგანდის საშუალებები ღრმად უნდა უჩვენებდნენ ხუთწლედის მიღწევებს, პოულობდნენ ეკონომიური, კულტურული და სოციალური განვითარების შეძენილი გამოცდილების განზოგადებისა და გავრცელების ქმედითს ფორმებს.

ყველაფერი, რითაც სახელგანთქმული და ძლიერია დღეს საბჭოთა სახელმწიფო, შექმნილია მშრომელი ადამიანების ხელით, გონებით, ნებით ლენინის ანდერძის მიხედვით, კომუნისტური პარტიის ნაცადი ხელმძღვანელობით. და, როცა ქვეყნის წარმატებებს ასახავს, პრესა ცდილობს გააშუქოს პარტიის როგორც ხელმძღვანელი და წარმმართველი ძალის, ჩვენი საზოგადოების კოლექტიური გონების მრავალმხრივი საქმიანობა. გაზეთებისა და რადიოს რედაქციებმა, სატელევიზიო სტუდიებმა უფრო ხრულად უნდა გამოიყენონ პუბლიცისტური საშუალებების მდიდარი არსენალი იმისათვის, რომ უჩვენონ პარტიის სულ უფრო მზარდი როლი ცხოვრების ყველა დარგში. ამ საქმეში გამოდგება ყველა ჟანრი — თეორიული გამოსვლები, ინტერვიუ და სტატიები, საუბრები რადიოთი და ტელევიზიით იმაზე, თუ როგორ ხორციელდება სკკპ XXIII ყრილობისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების გადაწყვეტილებანი, პარტიული ორგანიზაციებიდან მოსული წერილები და ნარკვევები კომუნისტთა ავანგარდული როლის შესახებ.

განვლილი ხუთწლედის შედეგებს რომ ვაშუქებთ, საჭიროა თვალსაჩინოდ ვუჩვენოთ, თუ რა სიახლენი გამოჩნდა სამშობლოს რუკაზე, ქალაქებისა და სოფლების, ცალკეული კოლექტივების ცხოვრებაში, შთამბეჭდავად ავსახოთ დამკვრელური ვახტის გმირთა ფაქრები და საქმეები, რათა თვითეულმა საბჭოთა ადამიანმა თვალნათლივ წარმოიდგინოს, თუ როგორ ერთვის მისი შრომა მთელი ხალხის შრომას, ამ მხრივ უკვე ბევრი რამ გაკეთდა. ბევრი საინტერესო ფაქტთან, დამაჯერებელი შედარებთან არის აღსავსე გაზეთ „სოციალისტიჩესკაია ინდუსტრიის“ ფურცლები რუბრიკით „რესპუბლიკების ინდუსტრიული რუკა“. ახლის მკაფიო ნიშნებს ეძიებენ „პრავდა ვოსტოკას“ ნომერი, რომელშიც ნაამბობ უზბეკეთის უზარმაზარ უდაბნო ტერიტორიებზე მომხდარი გარდაქმნების შესახებ ავსებენ მკითხველების წერილები მათ პირად ცხოვრებაში მომხდარი ცვლილებების შესახებ. „ჩელიაბინსკი რაბოჩი“ ფართოდ იყენებს მკითხველთა ანკეტებს და სამხრეთ ურალის მაგალითებით გვიჩვენებს, თუ როგორ სრულდება პარტიის ლოზუნგი „ყველაფერი ადამიანის კეთილდღეობისათვის“. ასეთი მასალები იბადება გატაცებული ჟურნალისტური ძიების შედეგად.

ლენინის ტრადიციებზე აღზრდილი საბჭოთა პრესისათვის დამახასიათებელია რევოლუციური მგზნებარება და საქმიანობა. ხუთწლედის შედეგების პროპაგანდა ნიშნავს ხელს ვუწყობდეთ კომუნისტური მშენებლობის ახალი ამოცანების წარმატებით გადაწყვეტას. გაზეთში დაბეჭდილი, რადიოთი და ცისფერი ეკრანიდან აყალერებული პუბლიცისტური სიტყვა მხოლოდ მაშინ იქნება ნამდვილად ქმედითი, როცა ამ სიტყვაში მოცემულია ფაქტებისა და მოვლენების ღრმა ანალიზი, პროპაგანდა ეწევა საყურადღებო გამოცდილებას.

პრესის ბევრი ორგანო ცდილობს ღრმად გაიაზროს ახალი მოვლენები ეკონომიკაში, პარტიული ორგანიზაციების მუშაობის პრაქტიკასა და სამეურნეო მშენებლობაში. „ეკონომიჩესკაია გაზეტა“, „სელსკაია ჟიზნ“, „ლენინგრადსკაია პრავდა“, „მოსკოვსკაია სოციალისტი“, „ტიესი“ (ვილნიუსი) დაწვრილებით აშუქებენ მოწინავე საწარმოებისა და კოლმეურნეობების მიღწევებს, მათი მაგალითით უჩვენებენ, თუ როგორ უნდა გამოვიყენოთ უფრო სრულად რეზერვები ეკონომიური რეფორმის პირობებში, განუხრელად გავადიდოთ შრომის ნაყოფიერება. ახლანდელ ეტაპზე პრესის წარმატებითი მუშაობის დიდმნიშვნელოვანი მხარე ის არის, რომ გამოაქვეყნოს პრობლემური გამოსვლები, რომლებშიც სერიოზულად ექნება გაკეთებული ანალიზი ხუთწლედის შედეგებს, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესისა და სახალხო მეურნეობის მართვის სრულყოფის გზებს.

საყრილობო ვახტის დღეებში ქალაქებისა და სოფლების მშრომელები ცდილობენ ამრავლონ წარმატებანი, რომლებიც ამ ბოლო წლებში მოიპოვეს, შეასრულონ ყრილობის აღსანიშნავად ნაკისრი ვალდებულებანი. ამ მისწრაფებით არის გამსჭვალული „სრულიად საკავშირო მუშათა კრების“ მონაწილეთა გამოსვლები „ტრუდში“, დედაქალაქის მრეწველობის მოწინავეთა სტატიები, რომლებიც იბეჭდება „მოსკოვსკაია პრავდაში“, ბევრი სხვა გაზეთის მასალები.

სარედაქციო კოლექტივის მუშაობის წარმატებებს უწინარეს ყოვლისა განსაზღვრავს ის, რომ შეეძლოს დაინახოს და მხარი დაუჭიროს ახალს წარმოების ორგანიზაციაში, შრომისადმი ადამიანის დამოკიდებულებაში, უჩვენოს ნოვატორის, შეჯიბრების გამარჯვებულის სულიერი სახე. რამდენი საინტერესო, სასარგებლო და საგულისხმო რამის მოცემა შეუძლია კოლექტივების სოციალური განვითარების გეგმების პუბლიცისტურ კვლევას! აქ შეიძლება გავაშუქოთ, თუ როგორ უწყობენ ხელს ამ გეგმებით გათვალისწინებული ღონისძიებანი წარმოების სრულყოფას, შრომისა და ყოფაცხოვრების პირობების გაუმჯობესებას, მშრომელთა კომუნისტურ აღზრდას.

მნიშვნელოვანი სიტყვა ხუთწლედის შედეგების, ახალ წელს შრომითი წარმატებების შესახებ ეკუთვნით შეჯიბრების უშუალო მონაწილეებს — მუშებს, კოლმეურნეებს, სპეციალისტებს, საბჭოთა პრესის მუდმივ ავტორებს. სკკპ XXIII ყრილობის შემდეგ პრესამ, რადიომ და ტელევიზიამ მნიშვნელოვნად განამტკიცეს კავშირი მასებთან. ფართოდ გავრცელდა საზოგადოებრივი განყოფილებანი რედაქციებში, წარმოების რეზერვების დათვალიერებანი, რომლებიც იმართება მასობრივი ინფორმაციის ყველა საშუალების გაერთიანებული ძალებით, მუშაორთა საგუშაგოები, საზოგადოებრივი მისაღებები და სხვ. ამ დღეებში ფართოდება მუშა და სოფლის კორესპონდენტთა სრულიად საკავშირო ლაშქრობა მომჭირნეობისა და ყაირათიანობისათვის. წარმატებით მიმდინარეობს კუზბასელ მუშაორთა რეიდი დევიზით „გულმოდგინედ აღვრიცხოთ რეზერვები“. ახლახან კიევში გაზეთ „რადიანსკა უკრაინას“ რედაქციის „მრგვალ მაგიდასთან“ შეიკრიბნენ ყველა ხუთწლედის ნოვატორები, რესპუბლიკისა და ქვეყნის წარჩინებული ადამიანები, რათა განეხილათ, თუ უფრო კარგად როგორ განვითარონ სოციალისტური შეჯიბრების სახელოვანი ტრადიციები. მასობრივი მუშაობის ეს ძვირფასი გამოცდილება უფრო აქტიურად უნდა გამოიყენოთ განვლილ ხუთწლედში ჩვენი მიღწევების, ყოველივე ახლის, მოწინავის ფართო პროპაგანდისათვის. რასაც სკკპ XXIV ყრილობისათვის მზადება წარმოშობს.

წარმართავენ რა პრესის საქმიანობას, პარტიულმა კომიტეტებმა უურნალისტთა მეცადინეობა უნდა მოახმარონ დღევანდელობის მთავარი შემოქმედებითი ამოცანების გადაწყვეტას. უნდა დავეხმაროთ რედაქციებს განსაზღვრონ განვლილი ხუთწლედის შედეგების გაშუქების საკვანძო საკითხები, ოპერატიულად გავაცნოთ მათ ეს შედეგები, ყოველთვის ვიზრუნოთ პრესის, ტელევიზიისა და რადიოს კადრების აღზრდისათვის.

პრესის მკაფიო, მართალი სიტყვა აღაფრთოვანებს საბჭოთა ადამიანებს ახალი მიღწევებისათვის, ხელს უწყობს კომუნიზმის მშენებელთა პოლიტიკური და შრომითი აქტივობის შემდგომ აღმავლობას.

სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მე-3 პლენუმი

პარტიას, სამშობლოს — კომკავშირისაგან

ლენინის ანდერძი — ისწავლოს კომუნიზმი, მრავალმილიონიანი კომკავშირისათვის უმნიშვნელოვანესია. 21 იანვარს მოსკოვში მუშაობას განაგრძობდა სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მე-3 პლენუმი, რომელმაც განიხილა კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების საკითხები თანამედროვე მოთხოვნების სულისკვეთებით.

თუ არა გაქვს წარმოების ეკონომიკის ცოდნა, ვერ იქნები ნამდვილი თანამედროვე ახალგაზრდა მუშა, თქვა ურალის მანქანათსაშენებელი ქარხნის კომკავშირელმა პ. მაშარაკინმა. ამ საწარმოს კომკავშირულ ჯგუფებში რეგულარულად ეწყობა ტექნიკურ-ეკონომიური გამოცდა. მიღებული ეკონომიური ცოდნა, აღნიშნა გამოსვლაში სომხეთის ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ლ. საკიანმა, შემოქმედების მამოძრავებელი ძალა უნდა გახდეს.

სრულიად საკავშირო ალკკ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ს. კუპრეევმა აღნიშნა, რომ დედაქალაქის პირველად ორგანიზაციებში ვ. ი. ლენინის ნაწარმოებთა, პარტიისა და სახელმწიფოს ეკონომიური პოლიტიკის ღრმად შესწავლის საფუძველზე ქალაშვილები და ჭაბუკები ქარხნებში, მშენებლობებზე. სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებსა და საკონსტრუქტორო ბიუროებში ადგენენ ხუთწლედის პირად, ბრიგადულ და ჯგუფურ გეგმებს, ასრულებენ კონკრეტულ დავალებებს.

პლენუმზე გამოვიდნენ აგრეთვე სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა „მოლოდაია გვარდიის“ დირექტორი ვ. განიჩევი, სრულიად საკავშირო ალკკ გორკის სალიტერატურო კომიტეტის პირველი მდივანი ვ. კარპოვი, ესტონეთის ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ი. პურგა, ვოროშილოვგრადის ოლქის ნიენეევაცკის რაიონის კოლმეურნეობა „სერპ ი მოლოტის“ მერძეველობის სასაქონლო ფერმის კომკავშირის ორგანიზაციის მდივანი ვ. სემენიხინა და სხვები.

განხილულ საკითხებზე პლენუმმა მიიღო დადგენილება. დადგენილებაში ნათქვამია, რომ ლენინური კომკავშირი, მთელი საბჭოთა ახალგაზრდობა უდიდესი საყოველთაო სახალხო პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ვითარებაში ემზადებიან ღირსეულად შეხვდნენ სკკპ XXIV ყრილობას. მილიონობით კომკავშირელი, ქალაშვილი და ჭაბუკი ღირსეულად დგას შრომითს ვახტზე, აქტიურად მონაწილეობს სრულიად საკავშირო ლენინურ ჩათვლაში „ლენინისა და პარტიის საქმის ერთგულნი ვართ“.

პირველადმა კომკავშირულმა ორგანიზაციებმა მთავარი ყურადღება უნდა დაუთმონ ახალგაზრდობის პოლიტიკურ აღზრდას.

თვითეული პირველადი ორგანიზაციის მოვალეობა ის არის, რომ ქალაშვილებსა და ჭაბუკებს დაეხმაროს წარმატებით შეასრულონ პარტიული ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის ნაკისრი ვალდებულებანი, მხარი დაუჭირონ და ფართოდ გაავრცელონ ახალგაზრდობის პატრიოტული თაოსნობა და წამოწყება 1971 წლის გეგმის ვადამდე შესრულების საქმეში.

სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა გამოთქვა მტკიცე რწმენა, რომ კომკავშირელები ღირსეულად შეხვდებიან პარტიის XXIV ყრილობას. აქტიურად ჩაებმებიან ბრძოლაში მისი გადაწყვეტილებების შესრულებისათვის, კიდევ უფრო შეამჭიდროებენ თავიანთ რიგებს კომუნისტური პარტიის გარშემო.

სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა განიხილა აგრეთვე ორგანიზაციული საკითხები. პარტიულ სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით პლენუმმა სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრის მოვალეობისაგან გაათავისუფლა უ. ჯანიბეკოვი. სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრად არჩეულია ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის ახალგაზრდა მეცნიერთა საბჭოს თავმჯდომარე გენადი მესიაცი.

სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მესამე პლენუმმა მუშაობა დაამთავრა. (საკ-დესი).

მეცნიერთა შეხვედრები

1971 წლის 18-21 იანვარს მოსკოვში გაიმართა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის, პრეზიდენტის აკადემიკოს მ. ვ. კელდიშისა და ამერიკის შეერთებული შტატების აერონავტიკისა და კოსმოსური სივრცის კვლევის ეროვნული სამმართველოს დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის დოქტორ ჯ. მ. ლოუს მთელი რიგი შეხვედრები სხვა დაინტერესებული უწყებების პასუხისმგებელ წარმომადგენლებთან, რათა აზრი გაეზიარებინათ ერთმანეთისათვის საბჭოთა კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის მშვიდობიანი მიზნით კოსმოსური სივრცის კვლევისა და გამოყენების დარგში თანამშრომლობის განვითარებაში შესაძლო მიმართულებათა შესახებ.

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიასა და ამერიკის აერონავტიკისა და კოსმოსური სივრცის ეროვნულ სამმართველოს მიაჩნიათ, რომ თანამშრომლობა კოსმოსური სივრცის კვლევაში შეეხამება არა მარტო საბჭოთა კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ინტერესებს, არამედ სხვა ქვეყნების ინტერესებსაც.

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა და ამერიკის აერონავტიკისა და კოსმოსური სივრცის კვლევის ეროვნული სამმართველოს დირექტორმა ხელი მოაწერეს ერთობლივი ღონისძიება და განიხილონ თანამშრომლობის შემდგომი შესაძლო მიმართულებანი. კერძოდ, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემია და ამერიკის შეერთებული შტატების აერონავტიკისა და კოსმოსური სივრცის კვლევის ეროვნული სამმართველოს შეთანხმდნენ ერთმანეთს გაუცვლონ ორი ქვეყნის მიერ მიღებული მთვარის გრუნტის ნიმუშები.

გარდა ამისა, მხარეები შეთანხმდნენ იმ პროცედურაზე, თუ როგორ შეიმუშაონ რეკომენდაციები კოსმოსური კვლევის მიზნებისა და შედეგების ერთობლივი განხილვის, მეტეოროლოგიური მონაცემების არსებული გაცვლის სრულყოფის, მეტეოროლოგიური რაკეტების საშუალებით კვლევის მოწყობის, ბუნებრივი გარემოს შესწავლის მეთოდების დამუშავების, კოსმოსური ბიოლოგიისა და მედიცინის მონაცემების ურთიერთგაზიარების გაფართოების, აგრეთვე ზოგიერთ სხვა დარგში სამუშაოთა მოწყობის შესახებ. სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიას და ამერიკის შეერთებული შტატების აერონავტიკისა და კოსმოსური სივრცის კვლევის ეროვნულ სამმართველოს მიაჩნიათ, რომ ეს დისკუსიები სასარგებლო იყო. (საკ-დესი).

საპატიო ჯილდო

საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაში დიდი დამსახურებისათვის, აქტიური საზოგადო მოღვაწეობისათვის და დაბადების სამოც წლისთავთან დაკავშირებით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მწერალი, ჟურნალ „ოგონიოკის“ მთავარი რედაქტორი ანატოლი ვლადიმერის-ძე სოფრონოვი დააჯილდოვა ოქტომბრის რევოლუციის ორდენით.

(საკ-დესი).

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲝ ᲡᲐᲓᲐᲒᲝ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲐᲛᲐᲡᲙᲝᲛᲔᲑᲘᲡ ᲗᲐᲗᲐᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔᲔᲑᲘᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲣᲠᲘ ᲗᲐᲗᲑᲘᲠᲘ

გაიხსნება 1971 წლის 26 იანვარს დილის 10 საათზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში (საქართველოს სსრ მთავრობის სახლი).

თათბირის მონაწილეების **რეგისტრაცია იწარმოებს 1971 წლის 25 იანვარს დილის 10 საათიდან 22 საათამდე** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის შენობაში (1 სართული, ოთახები 1, 4; ტელეფონები: 99-08-54, 29-58-19).

ᲩᲕᲔᲜᲡ ᲓᲘᲐᲓ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲨᲘ

დეპუტატი და ცხოვრება

დაბა ქალაქს ემსგავსება

დაბა აგარის არც თუ დიდი ხნის ისტორია აქვს, მაგრამ დღეს ჩვენი დაბა საქართველოს კვების მრეწველობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ობიექტია. შორს გაითქვა სახელი შაქრის კომბინატმა. დაბის ტერიტორიაზე სხვა მნიშვნელოვანი სამრეწველო ობიექტებიც ბევრია. საწარმოო ,მოცულობით და სიძლიერით შაქრის კომბინატს არ ჩამორჩებიან საკონსერვო და შამპანური ღვინოების ქარხნები.

სადაბო საბჭო და მისი აღმასკომი მუდამ მხარში უდგანან სამრეწველო საწარმოთა და დაწესებულებათა კოლექტივებს, ეხმარებიან მათ სახელმწიფო გეგმების შესრულებაში. ჩვენი ურთიერთობა უფრო განმტკიცდა მას შემდეგ, რაც მიღებულ იქნა კანონი სასოფლო და სადაბო საბჭოების მუშაობის შესახებ. ამ კანონის წარმატებით განხორციელების მიზნით სხვა ღონისძიებებთან ერთად დიდი ყურადღება დავუთმეთ მუდმივმოქმედი კომისიების შექმნას.

ამჟამად აგარის სადაბო საბჭოსთან შექმნილია რვა სახის მუდმივმოქმედი კომისია. ყველა მათგანი ნაყოფიერ მუშაობას ეწევა. აღმასკომზე განსახილველად შემოაქვთ საკითხები და იყენებენ აქტუალურ წინადადებებს დაბის შემდგომი განვითარებისა და წინსვლისათვის, მისი კეთილმოწყობისა და მშრომელთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესებისათვის.

სადაბო საბჭოს მუდმივმოქმედი კომისიის მუშაობაში აქტიური მონაწილეობით თავი გამოიჩინა დეპუტატმა ს. გოქაძემ. იგი დაუღალავად იღვწის დაბაში სამინეულო წესრიგისა და სანიტარული მდგომარეობის გაუმჯობესების საქმისათვის. მისი წინადადებით და მონაწილეობით ლაკვიდირებულია დაჭობებული ადგილები. აიკრძალა დაბაში პირუტყვისა და ფრინველის გაშვება, მოწესრიგდა ნესვისათვის, მისი კეთილმოწყობისა და მშრომელთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესებისათვის.

სადაბო საბჭოს მუდმივმოქმედი კომისიის მუშაობაში აქტიური მონაწილეობით თავი გამოიჩინა დეპუტატმა ს. გოქაძემ. იგი დაუღალავად იღვწის დაბაში სამინეულო წესრიგისა და სანიტარული მდგომარეობის გაუმჯობესების საქმისათვის. მისი წინადადებით და მონაწილეობით ლაკვიდირებულია დაჭობებული ადგილები. აიკრძალა დაბაში პირუტყვისა და ფრინველის გაშვება, მოწესრიგდა ნესვი. ამ საქმეში ეხმარებოდა ,,ბაღი“ ,,ბაღი“ ,,ბაღი“

მსოფლიო დღეს

კოლონეთი

ლენინის პრინციპების შესაბამისად

ვარშავა. 22 იანვარი. (საკდესი). პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მე-7 პლენუმი აუცილებელი ნაბიჯი იყო პარტიული ცხოვრების ლენინური პრინციპებისა და ნორმების აღდგენის გზაზე, წერს გაზეთი „ტრიბუნა ლუდუ“ სარედაქციო კომენტარებში „ლენინური ნიშანსვეტები“.

ყოველკვირეულმა „პოლიტიკამ“ დაბეჭდა სარედაქციო კომენტარი, რომელშიც ნათქვამია, რომ საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის განმტკიცება პირველი რიგის ამოცანა იყო, არის და იქნება. ჩვენ ვესწრაფვით იმას, რომ მუდამ ახლოს ვიყოთ საბჭოთა კავშირთან, აცხადებს ყოველკვირეული.

ჩეხოსლოვაკია

წინსვლის გზა

პრაღა, 22 იანვარი. (საკდესი). ჩეხოსლოვაკიის პრესა კვლავ დიდ ყურადღებას უთმობს დოკუმენტს „ჩეხოსლოვაკიის კომპარტიისა და საზოგადოებაში კრიზისული განვითარების გაკვეთილები ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის მე-13 ყრილობის შემდეგ“, რომელიც ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმმა მიიღო.

ყოველკვირეული „ტრიბუნა“ წაზს უსვამს, რომ დოკუმენტი ავალებს ყველას მთლიანად და უსიტყვოდ აღადგინოს მთელ პარტიაში ლენინური ნორმები და პრინციპები, რომლებსაც მუდმივი ძალა აქვთ.

ბრატისლავის „პრავდა“ აღნიშნავს, რომ დასავლეთის ბურჟუაზიული პრესა ჩქმალავს ან ტენდენციურად ამახინჯებს დოკუმენტის შინაარსს.

ამგვარი პოზიცია, წერს გაზეთი, გასაკვირი როდია, რადგან დოკუმენტი დამაჯერებლად ცხადყოფს ჩეხოსლოვაკიაში კრიზისული განვითარების ნამდვილ მიზეზებს, ამხელს ჩეხოსლოვაკიის წინააღმდეგ მიმართულ იმპერიალიზმის გეგმებს, დევერსიული ცენტრებისა და იმიგრანტების საქმიანობას.

პრესა ბეჭდავს ჩეხოსლოვაკიელ კომუნისტთა მრავალ გამოსვლას, რომლებიც მხურვალედ უჭერენ მხარს დეკემბრის პლენუმის მიერ მიღებულ დოკუმენტს.

ᲐᲓᲐᲡᲢᲣᲠᲔᲑᲡ ᲙᲠᲔᲡᲐ

ცვლილებანი დემოკრატთა ბანაკში

ამერიკის შეერთებული შტატების სენატის დემოკრატიული ფრაქციის ხელმძღვანელობაში მოხდა ცვლილებანი, რომლებსაც, მიმომხილველთა აზრით, შეუძლიათ გავლენა მოახდინონ იმ ბრძოლის დასასრულზე, რომელიც ოპოზიციურ პარტიაში მიმდინარეობს 1972 წლის არჩევნებში პრეზიდენტობის კანდიდატურათა დასახელებისათვის.

ფრაქციის წევრთა მიერ მოწყობილი კენჭისყრის შედეგად სენატის დემოკრატიული ფრაქციის ახალი მოადგილე გახდა სენატორი რ. ბერდი (დასავლეთ ვირჯინიის შტატისაგან), რომელმაც შეცვალა ე. კენედი, რომელსაც ეს პოსტი ეკავა უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში.

კენედის სახელს, რომელიც სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის მიმართ მთავრობის პოლიტიკის მოწინააღმდეგედ ითვლება, ზოგიერთი მიმომხილველი უკავშირებდა 1972 წლის არჩევნებს.

რ. ბერდს, რომელმაც კენედის ადგილი დაიკავა, მიმომხილველნი ახასიათებენ როგორც მთავრობის აგრესიული სავიეტნამო პოლიტიკის მომხრეს და იმ ლოზუნგის მქადაგებელს, რომელიც მოითხოვს დაიცვან ქვეყანანი „კანონიერება და წესრიგი“. (საკდესი).

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ

კონგრესმა მუშაობა დაიწყო

გაიხსნა ამერიკის შეერთებული შტატების 92-ე მოწვევის კონგრესის პირველი სესია. წარმომადგენელთა პალატაში დემოკრატებს აქვთ 254 ადგილი, რესპუბლიკელებს — 180 (ერთი ადგილი ვაკანტურია), სენატში დემოკრატებს აქვთ 55 ადგილი, რესპუბლიკელებს — 45. წარმომადგენელთა პალატის სპიკერად (თავმჯდომარედ) აირჩიეს დემოკრატი ალბერტი (ოკლაჰომის შტატი). სენატში რესპუბლიკელთა ლიდერად ხელახლა აირჩიეს სენატორი ჰიუ სკოტი, დემოკრატთა ლიდერად — მაიკლ მენსფილდი.

კონგრესის მუშაობის პირველ დღეს, წარმომადგენელთა პალატის წევრთა დიდმა ჯგუფმა შეიტანა კანონპროექტი, რომელშიც მოითხოვს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საზღვაო და სამხედრო-საჰაერო ძალებს აეკრძალოს საომარი ოპერაციების მზარდაჭერა კამბოჯაში. ამ კანონპროექტს მხარს უჭერს წარმომადგენელთა პალატის სულ ცოტა 64 დემოკრატი წევრი. ერთობლივ განცხადებაში მათ ბრალი დასდეს ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას, რომ არღვევს კონგრესის მიერ გასულ წელს მიღებულ კანონს, რომლითაც აკრძალულია ამერიკის ჯარებისა და მრჩეველების გამოყენება კამბოჯაში.

გუშინ კაპიტოლიუმთან გაიმართა მასობრივი დემონსტრაცია გიეტნამის ავანტიურისა და კამბოჯაში შეიარაღებული ინტერვენციის გაფართოების წინააღმდეგ. წარმომადგენელთა პალატის ცხრა წევრი გამოვიდა კონგრესის შენობიდან და დემონსტრანტებს შეუერთდა.

12 ამერიკელმა ზანგმა კონგრესმენმა განაცხადა, რომ ბოიკოტს გამოუცხადებენ კონგრესის სხდომას, რომელზეც პრეზიდენტ ნიქსონი წაიკითხავს წერილს „ქვეყნის მდგომარეობის შესახებ“.

„ჩვენი „გადაწყვეტილება, — ნათქვამია წერილში, რომელიც კონგრესმენებმა გაუგზავნეს პრეზიდენტ ნიქსონს, — ნაკარნახევია თქვენი მტკიცე უარით ყურად იღოთ შავკანიანი ამერიკელთა ხმა და საზრუნავი“.

(22 იანვარი. საკდესი).

ᲘᲜᲓᲝᲩᲘᲜᲐ

სად მივყავართ ნაკვალევს?

ნიუ-იორკში კვლავ მოხდა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მიმართული პროვოკაცია. პირველი მოაწყეს 14 იანვარს, განთიადისას, 6 საათსა და 30 წუთზე. 49-ე ქუჩაზე, პარკ და მედისონ ავენიუებს შუა, ე. ი. ნიუ-იორკის ცენტრში. შენობაში, სადაც მოთავსებულია ინტურისტისა და აეროფლოტის განყოფილებები, ქვემით დაამსხვრიეს ვიტრინის მინები. პოლიციელმა, რომელიც ამ უბანში მორიგეობდა, შემდეგ თქვა, რომ დაინახა ორი ადამიანი, დაინახა როგორ ისროდნენ ისინი ქვებს ფანჯარაში, მაგრამ იმ მანქანის ნომერი, რომელშიც შემდეგ ხულიგნები ჩასხდნენ, ვერ დაარჩია... და არც უცდია დასწოროდა ბოროტმოქმედებს.

რადგანაც 6.30 წუთზე ნიუ-იორკის ქუჩებში არ არიან სკანდალური ქრონიკის რეპორტიორები, ამიტომ ბოროტმოქმედებმა დარეკეს ნიუ-იორკის ყველაზე რეაქციულ გაზეთ „დეილი ნიუსში“. მათ რედაქციას შეატყობინეს, რომ „ებრაელთა დაცვის ლიგამ“ თავისი დღე დაიწყო ჩვეულებრივად — საბჭოთა დაწესებულებებზე ხულიგნური თავდასხმით.

ლიგის წევრებმა ახგარიში რომ სწორედ ამ, და არა სხვა გაზეთს ჩაბარეს, აბსოლუტურად კანონზომიერია. საქმე ის არის, რომ „დეილი ნიუსმა“ თავის მხრივ ამ დღეს რიგით მეორე ანტისაბჭოთა პროვოკაცია განახორციელა, რომელთანაც შედარებით ჩამტვრეული მინები შეიძლება ბავშვურ გართობად მოგეჩვენოთ.

გაზეთმა პირველ გვერდზე მოათავსა თავისი რეპორტიორის ვილიამ ფედერიჩის ცნობა იმის შესახებ, რომ „ებრაელთა დაცვის ლიგაში“ შეიღწიეს... „საბჭოთა აგენტებმა“, რომ ისინი სპეციალურად შეინიღბნენ „ებრაელთა დაცვის ლიგის“ წევრებად — ატარებენ ყალბ წვერს, იცვამენ ქვემოთკენ გაფართოებულ შარვლებს და თავისუფლად ლაპარაკობენ... ებრაულ ენაზე. „საბჭოთა აგენტები“ თურმე მონაწილეობდნენ დემონსტრაციებში, გაჰყვირიოდნენ ანტისაბჭოთა ლოზუნგებს, ლანძღავდნენ საბჭოთა დიპლომატებს. სტატიის ავტორი იტყობინება, რომ მან ეს სენსაციური ცნობები კონფიდენციალურად მიიღო მთავრობისა და პოლიციის უმაღლესი წყაროებიდან“.

ეს მცირეოდენ სიცალეზე, რომელიც მილიონიანი ტირაჟებით გავრცელდა, იმდენად პროვოკაციულია, იმდენად აშკარად არის მიმართული საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობის წინააღმდეგ, რომ „მთავრობისა და პოლიციის უმაღლესმა“ წრეებმა სასწრაფოდ უარყვეს „დეილი ნიუსი“. გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის“ სიტყვებით მონაჭორი ოფიციალურად უარყვეს პოლიციისა და მთავრობის წარმომადგენლებმა. პოლიციელებმა, რომლებიც იცავენ უბანს საბჭოთა წარმომადგენლობის შენობასთან (უნდა ვივარაუდოთ, რომ ისინი კარგად იცნობენ საბჭოთა კოლონიის ყველა წევრს), „სახიფათო უაზრობა“ უწოდეს გაზეთის პროვოკაციულ ცნობას.

მაგრამ ეს უარყოფა ნიუ-იორკში დაბეჭდა მხოლოდ „ნიუ-იორკ პოსტმა“, გაზეთმა, რომელსაც „დეილი ნიუსთან შედარებით საკმაოდ მცირე ტირაჟი აქვს. რაც შეეხება „დეილი ნიუსს“, მან არა თუ უარყო თავისივე მონაჭორი გაზეთის შემდეგ ნომერში, არამედ დაბეჭდა სარედაქციო სტატია, რომელშიც იმავეს ამტკიცებდა.

ისმება კითხვა: რა არის ეს, უბრალოდ შესაძლებლობის ფარგლებს გადაცილებული თავხედობა თუ სხვა რამ უფრო სერიოზული? სწორედ ამაზე, ამ უფრო სერიოზულზე — მიმითხრეთ ერთმა ამერიკელმა ჟურნალისტმა.

— მთავრობისა და პოლიციის წყაროები, მათ შორის „უმაღლესი“ მრავალია, — მითხრა მან, — და სრულიად არ არის გამორიცხული, რომ ერთი „უმაღლესი“ უარყოფს, მეორე „უმაღლესი“ კი, რომელთანაც დაკავშირებულია „დეილი ნიუსი“, განაგრძობს პროვოკაციის განვითარებას. რაც უნდა იყოს, გაკეთებულია კიდევ ერთი ჭუჭყიანი საქმე, გაფრცელებულია ჭორი. ისინი, ვინც „დეილი ნიუსს“ კითხულობენ, სხვა გაზეთს აღარ ყიდულობენ“.

ჩემი ამერიკელი მეგობრის სიტყვები დამაჯერებლად მომეჩვენა. „ებრაელთა დაცვის ლიგა“ მეჩიდროდ არის დაკავშირებული ამერიკის სხვადასხვა მოსპო ფაშისტთა მცირე შენაერთი, ხელთ იგდო საბრძოლო იარაღი. ეს იყო მათი პირველი პარტიზანული საბრძოლო ნათლობა.

ჰიტლერელ ოკუპანტებთან ბრძოლაში გადიოდა კვირეები, თვეები, წლები, ვლადიმერ თალაკვაძის პარტიზანული შენაერთი, რომელშიც უკვე 600 მებრძოლი ირიცხებოდა, მთელ ბელორუსიაში მტრის რისხვად იქცა. შენაერთი ბრიგადად გადაიქცა. ვლადიმერ თალაკვაძის პარტიზანული ბრიგადა გაბედულად მოქმედებდა ბელორუსიის მიწა-წყალზე, რაც ფაშისტების მიერ დროებით იყო ოკუპირებული. ბრიგადამ, რომელიც მოქმედებდა ვიტებსკის ოლქის ტერიტორიაზე ვლადიმერ თალაკვაძის მეთაურობით, 80-ზე მეტი ცნობილი დიდი საბრძოლო ოპერაცია მოაწყო ფაშისტთა წინააღმდეგ.

— ჩვენი, შერისმაძიებელთა ბრძოლა, — ამბობს ვლადიმერ თალაკვაძე, — უფრო ეფექტური შეიქმნა მას შემდეგ, რაც მტაცეკაკეშირი დავამყარეთ პეტრე მირონოვიჩ მაშეროვის პარტიზანულ ბრიგადასთან. ჩვენი გაცნობა საბრძოლო პირობებში მოხდა.

1943 წლის იანვარი იდგა. ზავრიელად თოვდა. ოკუპანტების ახალი შემოტევის მოგერიების გეგმის შემუშავებას შევუდექით (ეს იყო რასონისა და ასვეის რაიონებში). მოსკოვიდან სასწრაფო განკარგულება (რადიოგრამა) მივიღეთ. პარტიზანული მოძრაობის ცენტრალური შტაბი ბრძანებას გვაძლევდა დავხმარებოდით მაშეროვის პარტიზანულ ბრიგადას.

ჩვენი ბრიგადა საბრძოლველად აენთო. 3000 პარტიზანი დავიძარით მაშეროვის ბრიგადის დასახმარებლად. ბრძოლით გავიარეთ 40 კილომეტრი, სოფლებში: გუტაში, ბელოეში, ინჩიკოვში. გამაგრებული ფაშისტთა გარნიზონები მოვსპეთ.

ფაშისტებმა მოასწრეს გადაეწვათ სოფელი გლუხოვო, სადაც მათ ამოხოცეს უდანაშაულო და უმწეო მოხუცები, ქალები, ბავშვები. სწორედ ამ სოფელში მოკლული დედის მკერდიდან აკიყვანეთ 4-5 წლის ბიჭუნა, რომელიც ბრიგადის შტაბში იშვილა. შემდეგ ერთი ღამის „განმავლობაში ბრძოლით მოვსპეთ ერთ-ერთ რკინიგზის სადგურში გამაგრებული ფაშისტები, რითაც გზა გავხსენით რასონისა და ასვეის რაიონებში მოქმედ პარტიზანთან შესახვედრად. ისინიც ბრძოლით მოიწევდნენ ჩვენკენ. ვინ იცის, რამდენი მამაცი პარტიზანი დაეცა გმირის სიკვდილით ბრძოლის ველზე... როგორც იქნა პირისპირ შევხვდით პეტრე მაშეროვის სახელოვან პარტიზანებს. მე და პეტრე ძმებივით გადავეხვიეთ ერთმანეთს. ახლაც მახსოვს მისი პირველი სიტყვები:

— „ჩემო მამაცო ქართველო ძმაო, ბევრი რამ მსმენია შენი ბრიგადის სწორუპოვარ ბრძოლებზე. ბელორუსი ხალხი ამბავს წყალში არ ჩაგიყრით. ამიერიდან შეერთებული ძალით ვმუსროთ ვერაგი მტერი“.

ამის შემდეგ ძმობა შევფიცეთ ერთმანეთს, ჭირსა და ლხინს ერთად ვიზიარებდით...

ვლადიმერ თალაკვაძეს არა ერთი ეპიზოდი გახსენა ორი პარტიზანული ბრიგადის ერთობლივი ბრძოლებიდან. ისინი ფაშისტური სიბილწისაგან ზიდიზედ ათავისუფლებდნენ ბელორუსიის სოფლებს.

ომი დიდი ხანია დამთავრდა, მაგრამ ერთად ნაბრძოლი ადამიანები ერთმანეთს არ ივიწყებენ. მათ ერთმანეთთან აკავშირებთ მეგობრული მიწერ-მოწერა.

თადარიგის პოლკოვნიკს ვლადიმერ თალაკვაძეს იწვევენ ბელორუსიაში ყოველი წლის ივლისის დასაწყისში, როცა აღინიშნება ფაშისტებისაგან ბელორუსიის განთავისუფლების თარიღი. შარშან ივლისში ფაშისტი დაპყრობლებისაგან ბელორუსიის განთავისუფლების 25 წლისთავის ზეიმზე ბელორუსიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს მიერ ვლადიმერ თალაკვაძე მიწვეული იყო როგორც საპატიო სტუმარი. მიწვევას ხელს აწერენ ამხანაგები მაშეროვი, პრიტიცკი და კისელიოვი. გაიმართა გულითადი შეხვედრები ბელორუს თანამებრძოლებთან, ფრონტელ თანამეგობრებთან. ვლადიმერ თალაკვაძე, რა თქმა უნდა, შეხვდა ბელორუსიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატს ამხ. პ. მაშეროვს, რომელთანაც საბრძოლო ცხოვრება და მრავალი წლის დაუვიწყარი მოგონებები აკავშირებს.

შეხვედრები გრძელდება... ზეიმობს დიდი გრძნობა, რომელსაც ძმობის არდავიწყება ჰქვია.

ბ. ჩხაიძე,

მახარაძე, „კომუნისტის“

სკკ. კორ.

* * *

სურათზე (მარჯვნიდან): პ. მ. მაშეროვი და ვ. მ. თალაკვაძე.

ᲛᲔᲜᲘᲚᲝᲓ

იტალია აღნიშნავს

იტალიელი კომუნისტები 22 იანვარს აღნიშნავენ იტალიის კომუნისტური პარტიის დამაარსებლის, საერთაშორისო მუშათა და კომუნისტური მოძრაობის თვალსაჩინო მოღვაწის ანტონიო გრამშის დაბადების 80 წლისთავს.

ხალხის ინტერესებისათვის

ჩილეს ეროვნული კონგრესის სენატმა მოიწონა კონსტიტუციის რეფორმის კანონპროექტი, რომელიც ითვალისწინებს ქვეყნის სპილენძის მადნის საბადოების ნაციონალიზაციას, რომლებიც ამერიკის მონოპოლიებს ეკუთვნით. მას შემდეგ, რაც ამ კანონპროექტს დაამტკიცებს დეპუტატთა პალატა, მას კანონის ძალა მიენიჭება.

კარიზის თათბირზე

პარიზის საერთაშორისო კონფერენციების სახლში კლებერის ავენიუზე გაიმართა ვიეტნამის შესახებ ოთხმხრივი თათბირის მორიგი მე-100 პლენარული სხდომა.

არჩევნების შედეგები

ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ეროვნული ასამბლეის დამატებითი არჩევნების შემდეგ, რომელიც მიმდინარეობდა აღმოსავლეთ პაკისტანის ცხრა ოლქში, ცნობილი გახდა სახელოო შედეგები. ეროვნული ასამბლეის 300 ადგილიდან, დეპუტატ ქალებისათვის განკუთვნილი 13 ადგილის გაუთვალისწინებლად, 160 ადგილი მიიღო სრულიად პაკისტანის სახალხო ლიგამ, 82 — პაკისტანის სახალხო პარტიამ. დანარჩენი 58 ადგილი განაწილდა ქვეყნის სხვა პოლიტიკურ პარტიებს შორის.

ᲙᲝᲜᲘᲐᲚᲘᲡᲢᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲐᲜᲪᲘᲡᲢᲔᲑᲘ

უცხოეთის ბანკების ჯგუფმა, მათ შორის ამერიკის მთელმა რიგმა ბანკებმა — ნეშნლ სიტი ბენკმა, მენუფეკ-ჩურერს ჰანოვერ ტრასტ კომპანიამ, ჩეზ მანჰეტენ ბენკმა, მორგან გარანტი ტრასტმა და ბენკ ოფ ამერიკამ, ესპანეთს მისცეს 200 მილიონი დოლარი კრედიტი შვიდი წლის ვადით.

მარიონეტები დეზერტირობენ

საიგონის მარიონეტულ არმიაში ღრმავდება დემორალიზაციისა და გახრწნის პროცესი. მარიონეტთა მე-7 დივიზიიდან, მაგალითად, 1970 წელს გაიქცა 9 ათასზე მეტი ჯარისკაცი. მარტო მე-11 პოლკში დეზერტირთა რიცხვმა 5.300-ს მიაღწია.

მიწისძვრა კანადაში

პანამაში მოხდა 9 बალი ძალის მიწისძვრა. ეს ყველაზე მძლავრი მიწისძვრაა ამ ქვეყანაში უკანასკნელი 88 წლის მანძილზე. პანამის დედაქალაქში დაინგრა ბევრი შენობა, არის მსხვერპლი.

გრიგალი კორტუგალიაში

მთელი ღამის განმავლობაში ლისაბონსა და ოპორტოში ბობოქრობდა ციკლონი, ქარმა, რომლის სიჩქარე საათში 120 კილომეტრს აღწევდა, მოთხარა ბევრი ხე, დააზიანა მრავალი შენობა და მოგლიჯა დედაქალაქის სტადიონის სახურავის ნაწილი.

ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲘ

ᲧᲝᲕᲔᲚᲘ ᲛᲡᲠᲘᲓᲐᲜ

22 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ

ᲠᲐᲖᲔ ᲬᲔᲠᲡ ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲘᲡ ᲞᲠᲔᲡᲐ

საზღვარგარეთის პრესა ხაზს უსვამს ცნობებს, რომ დამთავრდა „ლუნოხოდ-1“ საბჭოთა ავტომატური ამორატის მუშაობა მესამე მთვარის დღის პროგრამით. გაზეთები აღნიშნავენ ამ საბჭოთა კოსმოსური ექსპერიმენტის დიდ მნიშვნელობას, ხაზს უსვამენ, რომ მთვარემავლის ყველა სისტემა კვლავ შეუფერხებლად მოქმედებს.

უცხოეთის პრესა დღეს ყურადღებას უთმობს სამახსოვრო ბარათს ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგების საკითხზე, რომელიც არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის მუდმივმა წარმომადგენელმა ეზ-ზაიათმა გაუგზავნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს თავმჯდომარეს.

საზღვარგარეთის პრესის ფურცლებზე აშუქებენ ოთხი არაბული სახელმწიფოს — არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის, სუდანის, ლიბიისა და სირიის შეთაურთა კაიროს თათბირს, რომლებმაც გასულ წელს გამოაცხადეს ფედერაციის შექმნა. „ამ ოთხეულის ხმას — აღნიშნავს თავის კომენტარში პოლონური „გლოს პრაცა“, — ლენინს აფასებენ. როგორც არაბული [illegible] ... ეროვნული [illegible] ... ეროვნული [illegible] ... ეროვნ

საქართველოს ქმა-ბარეში

ᲙᲐᲠᲒᲘ საჩუქარი მიიღეს ქალაქ ოჩამჩირის მცხოვრებლებმა ამ დღეებში. სტუმართმოყვარულად გაიღო ახალი რაიონული უნივერმაღის კარი. რაიონის სამომხმარებლო საზოგადოების ახალი საგაჭრო ცენტრის 14 სექციაში მომხმარებელთათვის განლაგებულია მრავალფეროვანი საქონელი.
ᲡᲣᲠᲐᲗᲖᲔ: რაიონული უნივერმაღის ახალი შენობა.
ფოტო Ი. ᲭᲮᲘᲢᲔᲚᲘᲫᲘᲡᲐ (საქდესის ფოტოქრონიკა).

საქართველოს ახალგაზრდობის აგიტლაშქრობა

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიუროს, საქართველოს პროფსაბჭოს, საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს, რესპუბლიკის კულტურის სამინისტროს და საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნაძ“ მოიწონეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კომკავშირული ორგანიზაციის ინიციატივა და გამოაცხადეს ახალგაზრდობის რესპუბლიკური აგიტლაშქრობა, რომელიც ეძღვნება სკკპ XXIV ყრილობას, საქართველოს სსრ, საქართველოს კომპარტიის, აგრეთვე საქართველოს კომკავშირის 50 წლისთავს.

აგიტლაშქრობა მოეწყობა ორ ეტაპად. პირველი ეტაპის შედეგები შეჯამდება ივნისში, მეორისა — დეკემბერში. აგიტლაშქრობის მიზანი ის არის, რომ ახალგაზრდობის აგიტბრიგადები და ეფექტიან ფორმად, წარმოების მოწინავენი, მეცნიერების, ხელოვნებისა და ლიტერატურის ახალგაზრდა მუშაკები, სტუდენტთა ფართო მასები დარაზმონ ძოსახლეობაში საგიტაციო-პროპაგანდისტული და კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობისათვის. ამ მუშაობაში აქტიურად უნდა ჩაებნენ ფაბრიკებისა და ქარხნების, უმაღლესი სასწავლებლების, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების, სკოლების კოლექტივები.

საქართველოს ალკკ რაიონულ, საქალაქო, საოლქო კომიტეტებს, პირველადს კომკავშირულ ორგანიზაციებს წინადადება მიეცათ შექმნან აგიტბრიგადები და შეიმუშაონ ძირითადი მარშრუტების გეგმა. უზრუნველყონ კონტროლი მუშაობის ხარისხისადმი.

უმაღლესი სასწავლებლების რექტორატებმა, პროფკომებმა, საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრებმა, საზოგადოება „ცოდნის“ ორგანიზაციებმა აგიტბრიგადების ლექტორთა ჯგუფების უნდა მიამაგრონ კვალიფიციური მეცნიერები და გაუწიონ ყოველნაირი დახმარება.

ახალგაზრდობის აგიტლაშქრობის ხელმძღვანელობისა და კოორდინაციისათვის შექმნილია საორგანიზაციო კომიტეტი.

უმაღლესი სასწავლებლების, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების, სამრეწველო საწარმოებისა და საშუალო სკოლების ოთხი საუკეთესო აგიტბრიგადა დაჯილდოდება საზღვარგარეთ მოგზაურობის ტურისტული საგზურებით. გარდა ამისა, დადგენილია ხუთი წამახალისებელი პრემია, სპეციალური სიგელები. (საქდესი).

ᲑᲔᲓᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲑᲐᲦᲘ

ᲗᲔᲠᲯᲝᲚᲐ. (საკ. კორ.). საშვილიშვილო თოსნობას—საბჭოთა საქართველოს საიუბილეოდ დაირგოს 50 მილიონი ხე, პრაქტიკული საქმეებით უპასუხებენ თერჯოლის რაიონის მშრომელები, მოსწავლე ახალგაზრდობა. აქ ასეულ ათასობით ძირი მცენარე დარგეს.

კარგი ინიციატივა გამოიჩინეს სიქთარვის „სასოფლო-საბჭოს აღმასკომმა, კოლმეურნეობის გამგეობამ და მშრომელებმა. სოფლის საუნო საავადმყოფოს აღმოსავლეთით მათ მავთულბადით შემოღობეს მოზრდილი ფართობი, საგულდაგულოდ მოამზადეს ნიადაგი და იქ უკვე დარგეს 880 ძირი ატლმი, 100 ძირი მსხლის, „ბოლოს, „ბადური“ ეკალეკენერგი. სოფლის მშრომელებმა ამ ადგილს „ბედნიერების ბაღი“ შეარქვეს, მათ გადაწყვიტეს, რომ ახალგაზრდებულთა და ახალგაზრდობა ... ახალი მცენარეები ... „ბედნიერების ბაღს“ ... ძეობა-ქორწილები მატულობს და „ბედნიერების ბაღიც“ სწრაფად შლის მხრებს.

„ბედნიერების ბაღს“ გულმოდგინედ მზრუნველობენ ი. ეორეოლაძე და ა. ვერულაშვილი.



ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲐᲠᲝ-ᲡᲐᲑᲐᲒᲘᲠᲝ გზების სპეციალისტმა, საქართველოს სსრ დამსახურებულმა ინჟინერმა, გამომგონებელმა გიორგი ივანეს-ძე ფანცულაიამ საკუთარი პროექტით ჭიათურაში, მდინარე ყვირილაზე ააგო საბაგირო ხიდი. ეს ექსპერიმენტული ნაგებობა სიახლეა ჩვენი რესპუბლიკისათვის.
ᲡᲣᲠᲐᲗᲖᲔ: საბაგირო ხიდი მდინარე ყვირილაზე.
ფოტო ა. ᲛᲐᲭᲐᲕᲐᲠᲘᲐᲜᲘᲡᲐ (საქდესის ფოტოქრონიკა).

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲛᲐᲛᲣᲚᲘᲨᲕᲘᲚᲔᲑᲘ

ᲒᲝᲒᲖᲐᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲒᲔᲝᲒᲠᲐᲤᲘ

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲖᲘᲫᲘ ᲧᲐᲖᲑᲔᲒᲘᲡ ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ ცოტა რამ არის ცნობილი, თუმცა იგი როგორც მგზაური-გეოგრაფი, სამხედრო და საზოგადო მოღვაწე ფრიად საყურადღებო პიროვნებაა.

გიორგი ყაზბეგი დაიბადა 1840 წლის ნოემბერში. იგი იყო მწერლისა და მოღვაწის დიმიტრი ყაზბეგის ძმა და ალექსანდრე ყაზბეგის ბიძაშვილი. მისი პაპა გაბრიელ ყაზბეგი რუსეთთან საქართველოს შეერთებამდე მართავდა საქართველოს სამეფოში შემავალ მთიან სხარს.

გიორგი ყაზბეგმა სამხედრო სასახურში განვლო საკმაო რთული და სახელოვანი გზა პორუჩიკის ჩინიდან გენერალ-ლეიტენანტამდე. ყაზბეგის სამხედრო მოღვაწეობიდან აღსანიშნავია მისი მონაწილეობა 1877-78 წლების რუსეთ-თურქეთის ომში. მაშინ მას შტაბის უფროსის თანამდებობა ეკავა ქობულეთის რაზმში. ბრძოლებში თავის გამოჩენისათვის იგი წმიდა ანას მეორე ხარისხის ორდენით და ოქროს იარაღით იქნა დაჯილდოებული.

სამხედრო თეორიის კარგმა ცოდნამ, ორგანიზატორულმა ნიჭმა, პრინციპულმა ხასიათმა და მოვალეობის მაღალმა გრძნობამ ხელი შეუწყო მის წინსვლას სამხედრო სამსახურში. 1892 წელს გენერალ-მაიორის წოდების მინიჭებასთან ერთად იგი დაინიშნა ვარშავის ცხენ-სიმაგრის შტაბის უფროსად. 1900 წელს ყაზბეგმა გენერალ-ადიუტანტის წოდება მიიღო, 1902 წელს კი დაინიშნა ვარშავის ცხენ-სიმაგრისა და მთელი გამაგრებული რაიონის კომენდანტად. რუსეთ-იაპონიის ომის დამთავრების შემდეგ, 1905 წლის იანვარში გ. ყაზბეგი ვლადივოსტოკის კომენდანტად გადაიყვანეს, მაგრამ იქ დიდხანს არ დარჩენილა იმის გამო, რომ სასტიკად არ გაუსწორდა ამბოხებულ ჯარისკაცებს. როდესაც ყაზბეგმა მიღების დროს იმპერატორ ნიკოლოზ II-ს მოახსენა გარნიზონის ჯარისკაცთა ამბოხების მშვიდობიანად დამთავრება, მეფემ ციხიკურად უპასუხა: „ხალხს ყოველთვის უნდა ეშროლო, გენერალო!“. მტკრვალი მეფის ეს სასტიკი ფრაზა მაშინვე ცნობილი გახდა რუსეთის საზოგადოებისათვის და საყოველთაო აღფოთება გამოიწვია. მეფის მთავრობამ გ. ყაზბეგს ღიერალობა დასწამა და 1906 წლის მარტში მცირე პენსიით დაითხოვა სამსახურიდან.

საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ გიორგი ყაზბეგი აქტიურად ჩაება საზოგადოებრივ ცხოვრებაში: დიდი ინიციას დაღუვეის შემდეგ იგი სათავეში ჩაუდგა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ ხაზოგადოებას“, რომელსაც შეუცვლელად ხელმძღვანელობდა. მიუხედავად ხანდაზმულობისა, იგი დიდი ენერგიით და სიყვარულით ასრულებდა თავის ბოვალეობას.

ღრმად მოხუცებული გიორგი ყაზბეგი გარდაიცვალა სტამბოლში 1921 წელს ევროპაში სამკურნალოდ მიმავალი.

გიორგი ყაზბეგის ნაყოფიერი კვლევითი მოღვაწეობა გეოგრაფიის სფეროში და მისი საინტერესო მოგზაურობანი XIX საუკუნის 70-იანი წლებიდან 90-იან წლებამდე გრძელდება. გიორგი ყაზბეგი აქტიურ მონაწილეობას იღებდა რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილების მუშაობაში, რომლის სამდგომ წევრად იგი არჩეულ იქნა 1873 წელს.

მისი პირველი ნაშრომები ისტორიულ-გეოგრაფიული ხასიათისაა. 1867-1868 წლების გაზეთ „კავკაზის“ ფურცლებზე დაიბეჭდა მისი სტატიები: „იტალიელები კავკასიის შესახებ“, „კიდევ ერთხელ იტალიელებზე, რომელნიც წერდნენ კავკასიაზე“ და სხვ. ამ წერილების გამოქვეყნებით ყაზბეგმა ერთ-ერთმა პირველმა ნათელი მოჰფინა XIII-XVII საუკუნეების ევროპელ მოგზაურთა მეტად საინტერესო ცნობებს კავკასიისა და საქართველოს შესახებ. იგი თანმიმდევრულად გადმოგვცემს იტალიელი მოგზაურების პლანო კარპინის, მარკო-პოლოს, ბარბაროს, კონტარინის, პიეტრო დე ლა ვალეს, არქანჯელო ლამბერტისა და სხვათა მოგზაურობის მარშრუტებს და მათ ცნობებს კავკასიისა და, კერძოდ, საქართველოს ცალკეული კუთხეების შესახებ. აღნიშნული სტატიების დაწერა შეეძლო მხოლოდ ფართოდ განათლებულ, ენების მცოდნე ნიჭიერ ადამიანს. გ. ყაზბეგი ახალგაზრდობაში „თერგდალეულებს“ ემხრობოდა და იმ დროისათვის მოწინავე იდეების მიმდევარი იყო.



ზემოაღნიშნული სტატიების დასაწერად მან გამოიყენა მდიდარი ლიტერატურული ფონდი, რომელიც ევროპასა და იტალიაში მოგზაურობის დროს მოიპოვა.

გიორგი ყაზბეგის მიერ დაწერილი გეოგრაფიული ხასიათის შრომებიდან განსაკუთრებით დიდ ინტერესს იმსახურებს „სამი თვე თურქეთის საქართველოში“ და „ლაზისტანის სანჯაყის სამხედრო-სტატისტიკური და სტრატეგიული ნარკვევი“. ორივე ნაშრომი გამოქვეყნებული იქნა 1876 წელს. ნაშრომებში მოცემულია უძველესი ქართული პროვინციების — ზემო აჭარის, შავშეთის, ლივანის და ლაზეთის საფუძვლიანი გეოგრაფიული დახასიათება, საკმაოდ ვრცლად მიმოხილავს იგი აგრეთვე ამ პროვინციათა ისტორიას, მოსახლეობას და სოციალურ ურთიერთობას.

სამართლიანი იქნება, თუ ვიტყვით, რომ XIX საუკუნის მოგზაურთაგან ყველაზე საინტერესო ცნობები ამ უძველესი ქართული პროვინციების შესახებ მოგვცა გიორგი ყაზბეგმა, რომელმაც იქ იმოგზაურა 1874 წელს. ეს-ის პერიოდია, როდესაც რუსეთ-თურქეთის ურთიერთობა ძაღლე გამწვავებული იყო და თურქეთის მთავრობა რუსეთის მოსაზღვრე რაიონებში მოგზაურთ იჭერს თვალით უყურებდა.

ასეთი დაძაბული ვითარების დროს, ცხადია, თურქეთის მთავრობა ყაზბეგს ამ პროვინციებში მოგზაურობის უფლებას არ მისცემდა, მით უმეტეს, რომ იგი მაშინ გენერალური შტაბის ოფიცერი იყო და დავალებული ჰქონდა იქ გეოგრაფიული, ტოპოგრაფიული და სხვა ხასიათის მასალების შეკრება. ვინაიდან ოფიციალურად ყოველად შეუძლებელი იყო ამ სამუშაოს ჩატარება, გიორგი ყაზბეგი შეიცვალა გრიგოლ გურიელის ამალაში, რომელიც 1874 წლის გაზაფხულზე გაემგზავრა ე. წ. თურქეთის საქართველოში, როგორც შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილის სტუმარი.

გიორგი ყაზბეგის მოგზაურობა დაიწყო 1874 წლის მაისში სოფელ დერცელიდან. პირველად იგი ეწვია ზემო აჭარას, სადაც მოინახულა ღორჯომი, დიდჭარა, ხული, სხალთა და სხვა დასახლებული პუნქტები. ყაზბეგი სიხარულით აღნიშნავს იმ გარემოებას, რომ, მიუხედავად თურქთა ბატონობისა, აჭარაში მცხოვრები ქართველები „ყველანი ქართულად ლაპარაკობენ“.

ზემო აჭარიდან ყაზბეგი ყვირილას ხეობით შავშეთში გადავიდა, სადაც თითქმის ორი კვირა დაჰყო. ყაზბეგი პირველი ქართველი მოგზაური იყო, რომელმაც ნათელი მოჰფინა ზეყვიადიდთ მოცულ ძველი საქართველოს ამ დიდებულ კუთხეს. „ქვეყნის შესახებ, — აღნიშნავდა გ. ყაზბეგი,—ძალიან ცოტა რამ ვიცოდით, ევროპაში გამოცემულ გეოგრაფიულ თხზულებებში შავშეთი არ იხსენიებოდა, თითქოს იგი სულაც არ არსებობდეს ამ ქვეყანაზე“. მაშინ არსებულ ტოპოგრაფიულ რუკებზეც სოფლების, მდინარეების დასახელებანი ერთმანეთში არეული და უწესრიგოდ გაბნეული ყოფილა. ამ გაუგებრობების აღმოსაფხვრელად და დასაზუსტებლად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მის მიერ მოწყობილ ექსკურსიებს შავშეთ ი ს ცალკეულ კუთხეებში.

შავშეთის მოსახლეობა მისი ვარაუდით 12-დან 14 ათასამდე კაცს შეადგენდა. იგი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ გარდა სომხისთა 145 კომლისა, ანუ 900 კაცისა, შავშ ე თ ი „წმინდა ქართველებიაა დასახლებული და სახლიც წმინდა ქართული ენით ლაპარაკობენ, რომელსაც მთიანი საქართველოს, ე. ი. კავკასიის მთიულეთის დამახასიათებელი კილო დაკარავს“. ყაზბეგის გადმოცემით ყველაზე წმინდა ქართული ტიპი იმერხევში ყოფილა შენარჩუნებული; შავშეთის მცხოვრებთა ჩაცმულობა ისეთივე ყოფილა, როგორც აჭარლებისა.

შავშეთიდან ყაზბეგი გაემართა ლივანაში — საქართველოს ამ ერთერთ უძველეს პროვინციაში. სოფელ ბაკადან ქ. ართვინამდე ყაზბეგის მარშრუტი მიმდევრებ მდ. იმერხევისა და ჭოროხის ხეობებს. ართვინიდან კი ნავით ჭოროხზე ეშვება ბორჩხადე. გ. ყაზბეგი სანტერესო ცნობებს გვაწვდის ჭოროხის სანაოსნო მნიშვნელობაზე. ეს სანაოსნო გზა, როგორც ყაზბეგი აღნიშნავს, დიდ როლს თამაშობდა როგორც ბაათუმის, ისე ლივანაის ეკონომიურ ცხოვრებაში. ინგლისელი ვაჭრები ყარსსა და შავშეთში ნაყიდ მარცვლეულს ბათუმისაკენ ჭოროხით გზავნიდნენ.

ჭოროხის ხეობის მცხოვრენი, აღნიშნავს ყაზბეგი: „წმინდა ქართველი ლაპარაკობენ, ძალზე ლამაზები არიან და გონებამახვილობით გამოირჩევიან“. მიუხედავად დროის სიმცირისა, მან ლივანაში მოინახულა და საკმაოდ დაწვრილებით აღწერა ოპოზისა და პარხალის ჭალესილები.

სოფელ ბორჩხადან ჩათის უღელტეხილზე გადასვლით ყაზბეგი მივმართება ლაზეთში. მის მიერ შეკრებილი ცნობებით ლაზეთში 1874 წლისათვის ცხოვრობდა 70-დან 80 ათასამდე კაცი. იგი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ეს კუთხე ძირითადად დასახლებული იყო ქართველური ტომის ხალხით, რომელნიც „მეგრულისაგან მცირედ განსხვავებულ ენაზე ლაპარაკობენ“. ყაზბეგი იმდენად დაინტერესებულა მცხოვრებთა სალაპარაკო ენით, რომ ლაზური ენის კილოებიც კი დაადგინა და მათი საგულისხმო ანალიზი მოგვცა. აი რას წერს იგი: „ამჟამად ლაზეთში არის სამი კილო: ხოფური, არხავური და ათინური. პირველი მათგანი თითქმის იგივეა, რაც მეგრული: მეორე კილო, რომელზეც აბუს ხეობის მოსახლეობა ლაპარაკობს, არის საშუალო ხოფურ და ათინურ კილოებს შორის, ეს უკანასკნელი—ათინური კილო კი ბერძნულისა და თურქულის ზეგავლენის გამო სხვა კილოებზე მეტად დამორდა საერთო საფუძველს. მიუხედავად კილოების სხვაობისა, ლაზეთი წარმოადგენს ერთ განუყოფელ მთლიანობას, რომელიც ღირსია როგორც მეცნიერების, ისე სახელმწიფო მოღვაწეების ყურადღებისა. ლაზები, ყაზბეგის გადმოცემით, გამოირჩეოდნენ სილამაზით, ფაქიზი ჩაცმულობით და გონებამახვილობით. გ. ყაზბეგი მოუხიბლავს ლაზეთის ასული: „...ჩვენ ადვილად შეგვეძლო შეგვემჩნია აქაური ქალების სილამაზე და ტანადობა, რომელთაც მეტწილად ცისფერი თვალები და თეთრი სახის კანი აქვთ. ამასთან ერთად ისინი გამოირჩევიან არაჩვეულებრივი ენერგიულობით და ხასიათის ვაჟკაცური სიბეჯითით“.

გიორგი ყაზბეგის ნაშრომს „სამი თვე თურქეთის საქართველოში“ მაღალი შეფასება მისცა რუსეთის მეცნიერებათა აკადემიამ და რუსეთის გეოგრაფიულმა საზოგადოებამ. რუსეთის საიმპერატორო გეოგრაფიულმა საზოგადოებამ ამ ნაშრომისათვის მას ვერცხლის მედალი მიაკუთვნა.

დიდი ინტერესით შეხვდა ყაზბეგის აღნიშნულ ნაშრომს საქართველოს ფართო საზოგადოებრიობა, რომელიც დაინტერესებული იყო უცხოეთში მცხოვრებ ქართველთა ხვედრითა, რომელთა შესახებ მანამდე თითქმის არაფერი იყო ცნობილი.

გ. ყაზბეგის მეორე ნაშრომი „ლაზისტანის სანჯაყის სამხედრო სტატისტიკური და სტრატეგიული ნარკვევი“ თავის სტრუქტურით ახლოს დგას ეკონომიურ-გეოგრაფიული ხასიათის შრომებთან. საგულისხმოა ის გარემოებაც, რომ ქართველ გეოგრაფოთაგან სამხედრო-სტატისტიკური ხასიათის ნაშრომი პირველად გ. ყაზბეგმა დაწერა.

გიორგი ყაზბეგის მერმინდელი გეოგრაფიული ხასიათის ნაშრომებიდან აღსანიშნავია „თერგის ოლქის სამხედრო-სტატისტიკური აღწერა“, რომელიც 1888 წელს დაიბეჭდა. ნაშრომში საფუძვლიანად არის განხილული თერგის ოლქის ბუნებრივი პირობები, მოსახლეობა, სოფლის მეურნეობა, მრეწველობა, ვაჭრობა და სამომავლო გზები.

გიორგი ყაზბეგის მოღვაწეობა გეოგრაფიის სფეროში ჯერ კიდევ სრულფასოვნად არ არის შესწავლილი, თუმცა ცხადია, რომ მან თავისი შრომებით სახელოვანი ფურცელი შესძინა XIX საუკუნის ქართული გეოგრაფიული აზროვნების ისტორიას.

ᲜᲝᲓᲐᲠ ᲜᲐᲜᲐᲣᲨᲕᲘᲚᲘ,
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიური გეოგრაფიის კათედრის გამგე, დოცენტი.

* * *

ᲡᲣᲠᲐᲗᲖᲔ: გ. ყაზბეგი.

ᲨᲘᲜᲐᲛᲝᲣᲡᲯᲔᲚᲝᲗᲐ ᲡᲢᲔᲜᲓᲘ

ᲖᲘᲡᲢᲐᲤᲝᲜᲘ. (საკ. კორ.). პატარა სოფელია წევა, მაგრამ აქედან დიდ სამამულო ომში ასამდე ვაჟკაცი წავიდა. ბევრი მეომარი ბრძოლის ველზე დაეცა. სოფლის მკვიდრის გ. ნიშნიანიძის თაოსნობით აქ მოეწყო შინამოუსჯელთა სტენდი.

ᲡᲐᲭᲐᲓᲠᲐᲙᲝ ᲠᲔᲤᲝᲠᲛᲘᲡ წინ

ᲙᲘᲗᲮᲕᲔᲑᲖᲔ ᲣᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲡ ᲛᲐᲥᲡ ᲔᲘᲕᲔ

ᲡᲐᲥᲓᲔᲡᲘᲡ კორესპონდენტი შეხვდა საერთაშორისო საქადრაკო ფედერაციის (ფიდეს) პრეზიდენტ პროფესორ მაქს ეივეს (ჰოლანდია), რომელიც მოსკოვში ჩამოვიდა სსრ. კავშირის საქადრაკო ფედერაციის წარმომადგენლებთან მოსათათბირებლად, და შემდეგი კითხვები მისცა მას:

1. რას იტყოდით თქვენ, როგორც ფიდეს პრეზიდენტი, მსოფლიო პირველობაზე შეჯიბრებათა მოწყობის ახალ პროექტზე და ჭადრაკის განვითარების შემოქმედებითი საკითხების გადაჭრაში უძლიერეს გროსმაისტერთა უფრო აქტიური მონაწილეობის პერსპექტივებზე?

2. რა აზრისა ხართ ელექტრონულ-გამოსათვლელ მანქანებზე? გაუტოლდებიან თუ არა ისინი თამაშის ძალით ოსტატებს?

3. როგორია თქვენი თვალსაზრისი ფიდეს კონგრესის მიერ მიღებულ პროფესორ ელოს სისტემაზე, რომელმაც უნდა განსაზღვროს გროსმაისტერთა ოსტატობის შედარებითი დონე?

აი, მსოფლიოს ექს-ჩემპიონის მ. ეივეს პასუხი:

უწინარეს ყოვლისა, მინდა ვთქვა შემდეგი: დიდი სიამოვნებით ჩამოვდიარ ხოლმე საბჭოთა კავშირში, სადაც არაერთხელ ვყოფილვარ, ბევრი მეგობარი მყავს გროსმაისტერთა, ჟურნალისტთა და საერთოდ ჭადრაკის მოყვარულთა შორის.

მოგვგონებთ, რომ მსოფლიო პირველობაზე შეჯიბრების მოწყობის წესები, რომელიც 1948 წლიდან მოქმედებს, შემოღებული იყო შემდეგი პრინციპების მიხედვით:

თითოეულ ოსტატს — ცნობილსა თუ ნაკლებად ცნობილ—უნდა მიეცეს შესაძლებლობა მიაღწიოს ოლიმპოს მწვერვალს.

არც ერთ ქვეყანას — დიდსა თუ მცირეს — არ უნდა წაერთვას შესაძლებლობა გაგზავნოს შეჯიბრებაში მონაწილეობის მისაღებად ერთი ან რამდენიმე წარმომადგენელი;

მსოფლიო პირველობის ტურნირები უნდა ეწყობოდეს რეგულარულად, მიუხედავად ფინანსური შესაძლებლობებისა;

პრეტენდენტთა ტურნირში მონაწილეობა შეუძლია ერთი ქვეყნის გროსმაისტერთა განუსაზღვრელ რაოდენობას.

დიდი ხნის განმავლობაში ეს წესები მარჯვედ გამოიყენრბოდა, მაგრამ თანდათანობით გამოვლინდა ზოგიერთი უარყოფითი მომენტი:

ჯერ ერთი, ძალიან განსხვავებული ოსტატობის ადამიანები ერთ-ერთ ტურნირზე ერთ ადგილზე ... ეს ... ...